სკრ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 მაისი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 94 (10 263) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მართლაც „შესანიშნავი შვიდეული“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვორონეჟი. „იუბილეინის“ სპორტის სასახლეში დამთავრდა აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც თავი მოუყარა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერეს ათლეტს. წლეულს სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს საკმაოდ გადატვირთული საერთაშორისო კალენდარი აქვთ, ამიტომ ყოველ საკავშირო შეჯიბრებას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით კი ჩემპიონატს, რომელშიც 1990 წლის მედლები ნაწილდება.

აკრობატიკაში წარმატება რომ მოიპოვო, რთული და მრავალეტაპიანი გზა უნდა განვლო. ამიტომ ხშირად ხდება ისე, რომ კარგად დაწყებული ასპარეზობის შემდეგ ლიდერები თმობენ პოზიციებს და ბოლოს პრიზიორთა შორისაც ვერ ხვდებიან. გამარჯვებისთვის მაღალი ფიზიკური და ტექნიკური მომზადების გარდა საჭიროა ფსიქოლოგიური მზადყოფნაც, რაც, პირველ ყოვლისა, მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას გულისხმობს.

ხშირად ეს თვისებები გამოავლინეს საქართველოს წარმომადგენლებმა ჯგუფურ ვარჯიშებში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ქალთა შორის ასპარეზობის პირველივე დღიდან ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელთა პოპულარულმა ტრიომ ნატალია ანისიმოვას, ინგა გიორგობიანისა და ირმა ოვოიანის შემადგენლობით. უპირატესობა ჩვენმა აკრობატებმა მომდევნო ვარჯიშებშიც შეინარჩუნეს და საკუთარი სურვილებით დამსახურებულად მოიპოვეს სსრკ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.

ასევე ხელიდან არ გაუშვა უპირატესობა ქართულმა კვარტეტმა ემზარ აბუაშვილის, დიმიტრი კარტოზიას, ვაჟა არაყიშვილისა და ნიკოლოზ მჭედლიძის შემადგენლობით. ამ ოთხეულმა მომდევნო ვარჯიშებშიც მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ვაჟთა ხტომებში კი, იაროსლავლელმა ევგენი ივანოვმა დათმო ადრე მოპოვებული უპირატესობა და ჩემპიონობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სევასტოპოლელ ალექსეი კრიჟანოვსკის გადაულოცა. მისი თანაქალაქელი ნატალია კადეტოვა ჩემპიონი გახდა ქალთა ხტომებში.

ქალთა დუეტების შეჯიბრებაში ოქროს მედლები ტურნირის მასპინძლებმა ზულფია ალიმოვამ და ელენა დროჟინამ მოიპოვეს, ვაჟებში ჩემპიონები გახდნენ კიეველები გენადი ცერიშენკო და იური სტეპჩენკოვი. და კიდევ ერთ წყვილზე, რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა — ეს არის შერეულ დუეტთა შორის გამარჯვებული რიგელი აკრობატები — ევგენი მარჩენკო და ნატალია რედკოვა.

მაშ ასე, ვორონეჟიდან საქართველოს აკრობატთა „შესანიშნავი შვიდეული“ ხელდამშვენებული ბრუნდება შინ. საქართველოს ჩემპიონთა რიგებს კიდევ შვიდი გვარი შეემატა.

ს ურ ა თ ებ ზ ე: მარცხნიდან — ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, ირმა ოვოიანი.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

მოახლოებული ფინიში

მსოფლიოს გარშემო საიალქნო რბოლის — „უიტბრედის“ მონაწილენი ბოლო პუნქტს — „საუთჰემპტონს (ინგლისი) უახლოვდებიან. ბრძოლა, როგორც არასდროს, დაძაბულად მიმდინარეობს. აფროსნები შეუპოვრად იბრძვიან ყოველი მილისთვის. სწორედ ამიტომ, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი შეფერხება არ მოხდეს, ბრიტანეთის საზღვაო პოლიციამ ტრასის ბოლო მონაკვეთზე მკაცრი მორიგეობა დააწესა.

საუთჰემპტონში ფინიშის ხაზს სხვებზე უფრო ადრე, ალბათ, ახალი ზელანდიის ნავები „ფიშერი და პაიკელი“ და „სტეინლიგერი“ გადაკვეთენ. როგორც სანავიგაციო ხელსაწყოებმა აღნიშნეს, სამი ნავი — „ფაზისი“, ინგლისური „როტმანსი“ და ფინეთის „იუბფ“ ფინიშის ხაზიდან ერთნაირი დაშორებით (1206 მილით) იმყოფება. ახლა უკვე ყველაფერი დამოკიდებულია ქარის მიმართულებასა და... ბედზე.

„უიტბრედის“ რბოლას, როგორც ცნობილია, ბევრი სპონსორი ჰყავს. მათში ყველაზე გავლენიანია ბრიტანეთსა და მთელს მსოფლიოში ცნობილი ლუდის ფირმა — „უიტბრედი“. უფრო მეტიც, იგი რბოლის მთავარ ორგანიზატორად ითვლება. მაგრამ ფირმა, რა თქმა უნდა, არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია და გარკვეულ შემოსავალზეც ფიქრობს.

ახლა ცნობილი გახდა, რომ ფირმის შემოსავალი დღესდღეობით 17 პროცენტით გაიზარდა. იანვრიდან მარტის ჩათვლით ლუდის მაგნატებმა საკმაოდ დიდი შემოსავალი — 260 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღეს. შარშან ამავე პერიოდში ფირმის შემოსავალი იყო 223 მილიონი სტერლინგი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „უიტბრედის“ კომპანია ატარებს არა მარტო აფროსანთა რბოლას მსოფლიოს გარშემო, არამედ შინაგანი ინიციატივით ეწყობა საჩოგბურთო ტურნირები, საცხენოსნო დღეები, აგრეთვე, ხელოვნების ქმნილებათა დათვალიერება-გამოფენები.



სსრკ-ის პირველმა ნაკრებმა მეათედ გაიმარჯვა თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე, რომელიც დამთავრდა 19 მაისს. ფინალურ მატჩში მან სძლია სსრკ-ის მეორე (ახალგაზრდულ) ნაკრებს — 7:4 (2:0, 2:0, 2:2, 1:2), მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უნგრეთის ნაკრებმა მოუგო რუმინეთის ნაკრებს — 13:10 (1:1, 4:1, 2:5, 6:3), საქართველოს სპორტსმენებმა სულ ერთი ქულით წააგეს მატჩი საბერძნეთის წყალბურთელებთან და მეექვსე ადგილი დაიკავეს— 10:11 (5:3, 2:2, 0:2, 3:4). ტურნირის ცხრილში ბოლო ადგილზე ბულგარეთის ნაკრებია.

ს ურ ა თ ზ ე: ტურნირში გამარჯვებული სსრკ-ის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

კომპლიმენტი „აიას“

„აიამ“, ფოთის ამ ცნობილმა წყალსათხილამურო კომპლექსმა, ახლახან საქართველოს ღია ჩემპიონატს უმასპინძლა. ჩვენი რესპუბლიკის სამი „წყალსათხილამურო ქალაქის“ — ფოთის, თბილისის და რუსთავის წარმომადგენლებთან ერთად უკონკურსოდ იასპარეზეს ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა. შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში.

უფროსი ასაკის გოგონათა შორის მრავალჭიდში, რა თქმა უნდა, ფოთელმა ზათუნა კორკელიამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზეც მისი თანაგუნდელი ანა ლიფონავა გავიდა, მესამე იყო თბილისელი ეკა ბაბუნიძე.

ეს შედეგები, ცხადია, გოგონათა ასპარეზობის ბოლოს, ცალკეულ დისციპლინებში გამართული შეჯიბრებების მერე შეჯამდა, მანამდე კი... საინტერესო დუელი გაიმართა სლალომში კორკელიასა და ლიფონავას შორის. საბოლოოდ ლიფონავამ იმარჯვა და ამ სახეობაში I ადგილი მას დარჩა. ბაბუნიძე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

უმცროსი ასაკის გოგონებში ბადალი არ ჰყავდა ფოთელ ირმა ზუხბაიას, რომელიც პირველი იყო მრავალჭიდში და ცალკეულ დისციპლინებშიც. თავი გამოიჩინეს აგრეთვე რუსთაველებმა ნონა მელაძემ და ირმა ლაცაბიძემ.

ვაჟთა ტურნირის ფავორიტებმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა, ფოთელებმა გენადი გურალიამ და ვასილ ბუდუროვმა ამჯერად უკონკურსოდ იასპარეზეს და, ავდრის მიუხედავად, ტრამპლინზე ხტომაში საკმაოდ მაღალი შედეგებიც აჩვენეს — ბუდუროვი 49,2 მეტრზე გადახტა, გურალია — 48 მეტრზე. მათ „არ ყოფნაში“ თავი ისახელა თბილისელმა ზურაბ თედეევმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. სლალომში საუკეთესო იყო ფოთელი რევაზ ჭიხვარია.

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში აშკარა იყო ფოთელთა უპირატესობა. მრავალჭიდში პირველი ადგილი დაიკავა კახა ქაჯაიამ, მეორე —ირაკლი მელიამ, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე თბილისელი დავით ჭრიკაშვილი ავიდა. ურიგოდ არ უასპარეზიათ რუსთაველ რომან ვიაზლოვს და თბილისელ ალექსანდრ ტალანოვს, რომლებმაც სლალომში მესამე ადგილი გაიყვეს.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ფოთი — 583 ქულა, 2. თბილისი — 253, 3. რუსთავი — 148.

ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სლალომსა და ფიგურულ სრიალში გამართულ შეჯიბრებებში, ძალიან მოეწონათ „აიას“ სპორტკომპლექსი. მათი დელეგაციის ხელმძღვანელმა იმა ტუმოვამ განაცხადა: „ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრი ბაზა მინახავს, მაგრამ „აიასავით“ მშვენიერი კომპლექსი არსად შემხვედრია. დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ასეთ ბაზაზე დიდი სპორტული ზეიმი იქნება.“

ტრისტან ჭანია.



ლოს-ანჯელესი. აქ მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალისტმა, ამერიკელმა რენდი ბარნსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ოლიმპიური ჩემპიონის ულფ ტიმერმანის (გდრ) რეკორდი ბირთვის კვრაში 6 სანტიმეტრით გაუუმჯობესა და აჩვენა 23 მეტრი და 12 სანტიმეტრი.

ოლბორგი (დანია). დამთავრდა ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი, გუნდური ბრძოლის ბედი საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ გადაწყვიტა სუპერმძიმეწონოსანთა შეჯიბრებაში (110 კგ) 28 წლის ოლიმპიური ჩემპიონის გროდნოელი ალექსანდრ კურლოვიჩის გამარჯვებამ — 467,5 კგ. სულ კონტინენტის ჩემპიონატში საბჭოთა ძალოსნებმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს. ესენი არიან: კრასნოდარელი ვლადიმერ კუზნეცოვი (75 კგ), აშხაბადელი ალტიმურად ორაზდურდიევი (82,5 კგ), ცელინოგრადელი ანატოლი ხრაპატი (90 კგ), კოკჩეტაველი სერგეი კოპიტოვი (100 კგ) და გროდნოელი ალექსანდრ კურლოვიჩი 110 კგ).

ვოსკოვი. კლასიკური სტილის შოვიდავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც საბჭოთა ათლეტების გარდა მონაწილეობდნენ გდრ-ის, თურქეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, გამარჯვებულნი წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვიდნენ: ვიქტორ სავჩუკი (მოსკოვი), კონსტანტინ ტაშაჩაკოვი (კრასნოიარსკი), ვალიკო ორაგველიძე, სალავატ სახაუტდინოვი, ზახრაბ აბასოვი (ყველა — მოსკოვი), ბახთიარ ბაისეიტოვი (ალმა-ათა), არსენ ავაგიანი, ალექსეი ანანიევი (ორივე — მოსკოვი), ვალერი ასტახოვი (გორკი) და ტიმურ აიგინინი (მოსკოვი).

ზინდელფინგენი (გფრ). აქ გაიმართა ევროპის ძიუდოისტთა სამი უძლიერესი გუნდის ამხანაგური შეხვედრა. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი— 5:1 და გდრ-ის ნაკრები — 5:0. გფრ-ისა და გდრ-ის ძიუდოისტთა შეხვედრაში გამარჯვება დასავლეთგერმანელებს ხვდათ — 3:2.

ტოკიო. მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო თასის პირველ ტურში საბჭოთა ნაკრებმა ნიგერიის გუნდი დაამარცხა — 3:0.

საქართველოს პირველი ჩემპიონატი

სოხუმში დასრულდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი კარატეში ჭაბუკთა შორის, დებულების მიხედვით შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, გალის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონების 16-დან 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები, თბილისი ორი გუნდით იყო წარმოდგენილი. შეჯიბრებამ, რომლის ორგანიზატორი იყო ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის სოხუმის განყოფილება, მეტად საინტერესოდ ჩაიარა, უშეღავათო პაექრობაში გამოვლინდნენ ჩვენი პირველი ჭაბუკი ჩემპიონები. ესენი არიან: კატაში — თბილისელი მ. ასათიანი, ხოლო კუმიტეში (ორთაბრძოლა) — გ. ორჯონიკიძე (თბილისი, 55 კგ.), ს. კალმახელიძე (თბილისი, 60 კგ.), ა. ხაჩიძე (ბორჯომი, 65 კგ), ს. ლაითაძე (თბილისი, 70 კგ.), ლ. ქოთუა (გალი, 75 კგ.), ზ. ჯახაია (გალი, 80 კგ.), ო. ზაპოროჟეცი (სოხუმი, 80 კგ-ს ზემოთ). ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გამოვლინდა გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულიც: პირველი ადგილი და მთავარი პრიზი დაისაკუთრა თბილისის მეორე გუნდმა, II ადგილზეა გალის გუნდი, III-ზე — თბილისის პირველი გუნდი. ჩემპიონატის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ პრიზიორთა შორის გამოჩნდნენ რეგიონების წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომელი ა. ხაჩიძის წარმატება, რომელმაც, ყველასათვის მოულოდნელად, საკმაოდ ეფექტურად გაიმარჯვა თავის წონაში. შეჯიბრების მაღალი ორგანიზაცია, მსაჯთა კოლეგიის ობიექტურობა, სპორტსმენთა მეჯობრული ურთიერთდამოკიდებულება — აი, რით გამოირჩეოდა ჩემპიონატი. ჭაბუკმა სპორტსმენებმა შეჯიბრების წინ ეროვნული დროშა აღმართეს.

საქართველოს ჩემპიონატი და X სპარტაკიადა ფარიკაობაში

გზაჯვარედინთან...

ამჟამად ჩვენი სპორტი გზაგასაყარზე დგას. ერთადერთი ჯერჯერობით ფებბურთია, რომელმაც უკვე გაავლო პირველი სვე თავის ახალ ისტორიაში. დანარჩენი სახეობები კი, თუმცა იქაც ცვლილებები ხდება, მაინც გაურკვევლობის წინაშე დგანან, ამიტომ ის სიახლეებიც საბოლოო სახის განმახიზვრელ დებულებებს კი არა, უფრო გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტებს ჰგავს.

ამასვე ვიტყვით ფარიკაობაზეც, სადაც გარკვეული სიახლეები ინერგება. მისი პირველი შედეგები

რუსუდან გოგიავა

წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გამოჩნდა, რომელიც ორიოდე დღის წინ დამთავრდა ბათუმში. აქვე ვიტყვით, რომ ფაქტობრივად ეს „ორფა“ შეჯიბრება იყო: იქვე გამოვლინდნენ საქართველოს X სპარტაკიადის გამარჯვებულნიც.

როგორც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ბათუმში პრიზიორები პირველად დაჯილდოვეს ფულადი პრემიებით (შესაბამისად 300 და 100-100 მანეთით, ჩემპიონს ბრონლის თასიც გადაეცა), ამასთან, ასპარეზობაში დაუშვეს ყველა, ვისაც კი ამის სურვილი და, რა თქმა უნდა, საკანონო კვალიფიკაცია ჰქონდა. ყოველივე ამის გამო ტურნირში სამჯერ მეტი მოფარიკავე ჩაება, მათ შორის ისინიც, რომლებმაც ბოლო წლებში დაანებეს თავი აქტიურ ვარჯიშს. თუმცა საბოლოოდ უპირატესობა მაინც ახალგაზრდების მხარეზე აღმოჩნდა.

სურვილსა და შესაძლებლობას შორის არსებულ ნაპრალს სპორტში (და სხვა სფეროშიც) გარკვეულად ავსებს ჩვენთვის ახალი, თითქოსდა მოდადქცეული, მაგრამ უაღრესად საჭირო მიმდინარეობა — სპონსორობა. მოფარიკავეებმაც „იშოვეს“ სპონსორი: მათი მფარველობა იკისრა თბილისის ჩაის გადასაწონმა ფაბრიკამ (დირექტორი ზურაბ ფარესაშვილი). ეს ხელშეკრულება ახალია და მას ურიგო პერსპექტივა არ უნდა ჰქონდეს. თანხა ფულადი პრემიებისთვის სპონსორმა გაიღო. გარდა ამისა, იგი დაეხმარება მოფარიკავეებს სპორტული ფორმის შეძენაში, შეკრებების მოწყობაში, ტურნირების ფართო რეკლამაში (ბათუმში ეს რეკლამა ჯერჯერობით „ძველი ტრადიციით“ — აფიშის გამოკვრით ამოიწურა, რომელმაც, ცხადია, მაყურებელი დარბაზში ვერ მიიზიდა).

ჩვენთან აქაური ნაწარმის რეკლამა არ ჭრის და სპონსორობა ქველმოქმედებას ემსგავსება. და მაინც, მოფარიკავეებიც ეცდებიან რამდენადაც საჭირო იქნება, სახელი გაუთქვან ამ ფაბრიკის მარკას.

საქართველოს ჩემპიონატში უძლიერესმა გუნდებმა (თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის) 2-2 შემადგენლობა გამოიყვანეს, ხოლო სასპარტაკიადო შეჯიბრების ჩათვლაში თითო გუნდის შედეგი შედიოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ჩატარდა ასპარეზობა ქალთა შორის დაშნით ფარიკაობაში.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის გოდერძი მახარაძის თქმით, მსჯობის საკითხის წარმატებით გადაწყვეტამ ხელი შეუწყო ასპარეზობის შეუფერხებელ, ნორმალურ მსვლელობას, სულ ბათუმში აკრედიტებული იყო 15 მსაჯი, რომლებსაც 16 ბათუმელი არბიტრი დაემატა, თითოეული მათგანი იღებდა გასამჯელოს თავისი კვალიფიკაციის (კატეგორიის) მიხედვით.

ფარიკაობაში არც ისე იშვიათია სუბიექტივიზმის ელემენტები, ამიტომ

ოლეგ ჩერნიშოვი



ხათუნა ჭუმბურიძე

ასპარეზობის საერთო დონის შეფასებისგან თავს შევიკავებთ, სპორტსმენთა მომზადებას სხვა, უფრო მაღალი დონის ტურნირები „აზუსტებენ“ ხოლმე. თუმცა სპეციალისტების თქმით, ბათუმში საკმაოდ საინტერესო შეხვედრები გაიმართა. ისინი ახალი საერთაშორისო წესებით ჩატარდა: პირველი წრის შემდეგ ძალაში ოლიმპიური სისტემა შევიდა, რომელსაც ადრე მხოლოდ ფინალში იყენებდნენ. ფინალური შეხვედრებიც ახლებურად მოეწყო, მოფარიკავეს ყოველ მეტოქესთან გამარჯვებისთვის სამიდან ორი შერკინება უნდა მოეგო (თითოეული — 5 ჩხვლეტამდე).

პროგრამის პირველ სახეობაში— ხმლით ფარიკაობაში აშკარა იყო გამოცდილი წყალტუბოელი ოსტატის მერაბ ბაზაძის უპირატესობა, ოღონდ ნახევარფინალში მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია თბილისელმა აკაკი მახარაძემ. ამის დასტურია მათი შეხვედრის ანგარიში — 2:1, ამასთან, გადამწყვეტი შერკინება ბაზაძემ მინიმალური ანგარიშით (5:4) მოიგო. ფინალში კი მან 2:0 სძლია ახალგაზრდა ბექა ქელენტს (ზესტაფონი) და საქართველოს ჩემპიონის წოდება (და სპარტაკიადის ჯილდოც) მოიპოვა. მ. ბაზაძეს ტარიელ გოშაძე ავარჯიშებს. ა. მახარაძე მესამე ადგილზე გავიდა.

ქალთა ფარიკაობაში საქართველოში რიგზე არ არის საქმე, ამ სახეობებს ბავშვებიღა შემორჩენენ და ორიოდე 18-19 წლის გოგონა. დაშნით ფარიკაობაში გათამაშებული პირველი ოქროს მედალი კი ბათუმელმა რუსუდან გოგიავამ შოიპოვა, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი ნინა საფარიძე დაამარცხა. ახალგაზრდა ბათუმელი მწვრთნელი გია ცნობილაძე თვითონ დაშნით მოფარიკავე იყო და მისი ხელი ეტყობა კიდეც მოწაფეებს. რაპირისტ გოგონათა შორის თავი გამოიჩინა თბილისის 51-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ხა-

იხ. მე-4 გვ.

ვაი ამ გახსნას!

გორის განათლების მუშაკთა სპარტაკიადა ტყვიის მსროლელებმა გახსნეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვაი ამ გახსნას!

ქალაქში არ არის ნორმალური სასროლეთი, სადაც შეჯიბრების გამართვა შეიძლება. სპარტაკიადის ორგანიზატორებმა ბოლოს გამოსავალს მიაგნეს და საასპარეზოდ გორის მე-2 საშუალო სკოლის ტირი გამოიყენეს, რადგან უკეთესი ვერ მოძებნეს მთელს ქალაქში.

ვაეთა შორის გაიმარჯვა გორის მე-12 სკოლის სამხედრო მომზადების მასწავლებელმა მ. ჯაველიძემ, ქალთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა ამავე სკოლის პედაგოგი კ. გაბარაევა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მეორე საშუალო სკოლის გუნდმა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გორის მეხუთე და სოფელ კირბალის საშუალო სკოლის კოლექტივები.

სპარტაკიადა გრძელდება.

თ. ილიაძე,
„ლელოს“ კორ.

სიტყვა „გაუკაფავში“ ნალბანდობაზე

ანუ ლია ბარათი ბატონ ლევან ფრუიძეს, ბატონ ავთანდილ ციბაძეს - და, აგრეთვე, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურ ფედერაციას და „პირადად“ „ლელოს“ რედაქციას

ბატონო ლევან! ბატონო ავთანდილ! იძულებული ვარ ჯერ ბოდიში მოგიხადოთ პირადად თქვენ, რაკი თქვენი საკმაოდ შწვავე, მაგრამ, მაინც მისაბაძად ტაქტიანი შეკამათების საბაბი გახდა ჩემი წერილი, სადაც, ვმსჯელობდი რა ქართული ტრადიციული რეგიონების (აფხაზეთი, ქართლი, სამეგრელო და სხვა) ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ უფლებებში აღდგენის გონივრულობის შესახებ, ამ რთულ გზაზე „ბილის მოსასინჯ“ ღონისძიებად ზემოთაღნიშნულ ტრადიციულ რეგიონებს შორის ქართული ჭიდაობის ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ვთავაზობდი შესაბამის უწყებებს!

სამწუხაროდ, მე არ მეყო ერუდიცია და ინტერესი, რათა ჩემს წერილში მკითხველებისათვის მომეხსენებინა ასეთივე ჩემპიონატების ჩატარების გონივრულობა ყველა თუ არა, უმეტესწილ ქართულ ხალხურ თამაშებშიც და, იქვე საგანგებოდ გამომეყო ქართული ეთნოგრაფიის სავალალოდ მძიმე საუწყებო მდგომარეობა... მთელი რესპუბლიკის მასშტაბით!

ასევე არ მეყო, სამწუხაროდ, სპორტული ჰორიზონტი და პასუხისმგებლობა, ბატონო ავთანდილ, მომეყვანა ციტატები ხალხური სპორტისადმი მიძღვნილი თქვენი ნაშრომებიდან და რაც კიდევ უფრო ამძიმებს ჩემს დანაშაულს, ალბათ უნდა საგანგებოდ, შევჩერებულიყავი თქვენს წერილში მოხსენებულ IV სპორტულ-სამეცნიერო კონფერენციაზე, რომლის დადგენილებებმა, თურმე, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი სპორტის ხალხური დარგის აღმავლობის საქმეში! მაგრამ, კიდევ კარგი, თქვენმა ორმხრივმა შეკამათებამ მაინც მიმახვედრა, რომ არ უნდა გამებედა ნალბანდობა ისეთ „გაუკაფავში“, რომელიც მხოლოდ კომპეტენტური სპეციალისტების და, არა იოლად საშოვნი სახელის და დიდების მოსურნე კინორეჟისორობის გასაკაფ-გასაჩეხს შეადგენს!

მართლაც:

1. აბა რა საჭირო და სასარგებლო იყო ქართული ჭიდაობის ჩაჩხირვა ისეთ პრობლემაში, როგორიც იყო 1922 წლის ბედნიერ დღეებში პირველი საბჭოთა კონსტიტუციით ერთი მტკაველა საქართველოს დაფლეთა ბარე 7 ათეულ „რაიკომ-აღმასკომად“ და სამ „არაქართულ“ (თუ „ანტიქართულ“?!) ავტონომიად, რამაც ეს ავტონომიები აღჭურვა, ლამისაა კასტური შეუვალობის უფლებით, და ამით განუზომლად დაბლა დააყენა დანარჩენ ადმინისტრაციულ ქართულ ერთეულებზე?! და რასაც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, კანონზომიერად მოჰყვა-ქედმაღლური დაჯინება ქართული დიალექტებისა არამარტო ქართული ლიტერატურული ენის, არამედ, რაც მთავარია და შესაბამისად, განუკითხავი მოძალება...

რუსული ენისა-მეთქი!? აბა რა მრჯიდა იმის თქმას, რომ, ამით დღემდე დარღვეულია — ქართული ტრადიციულ შიგაეთნიკურ ერთეულთა გონივრული განლაგება კლიმატისა და რელიეფში და მათი საუკუნეებში ნაწრთობი სამეურნეო-ეკონომია ფუნქციონირებს! და თანაც, ისიც წამომცდა, იქნებ ასეთი სპორტული ღონისძიებით მოგვესინჯა მეთქი პირველი ნაბიჯი გიგანტური ბიუროკრატიული აპარატით „დაწელსრულებული“ ადმინისტრაციული ნაფლეთებისგან გონივრული ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეგიონების აღდგენა მეთქი?!

არა! ნამდვილად ბოდიში უნდა მოგიხადოთ! ასევე უნდა მოვუბოდიშო ქართული ჭიდაობის ფედერაციას და ყოფილ ლენინურ კომკავშირს, რომელთაც ქართლ-კახეთის სოფლებს შორის სახელმწიფო ცირკის არენაზე, დიდებულად აწყობილი სრულიად-რესპუბლიკური ჩემპიონატის მაგივრად, შევთავაზე ზედმეტი თავსატეხი— საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სახით! ტრადიციული რეგიონების ნაკრებთა ჩამოყვანის ახალი ხარჯები! ახალი წესდება!!! ღმერთმანი, მაპატიეთ!

და ბოლოს, პატივება მინდა ვთხოვო „ლელოს“ რედაქციასაც, რომელიც თავაზიანად ჩამყვა ამ „ნახევრად სპორტულ“ ავანტურაში! თუმცა, რატომ მარტო „ლელოს“? ნამდვილად პატივება უნდა ვთხოვო ქართული ჭიდაობის ყველა ქომაგს და საერთოდ, „ლელოს“ მკითხველთა მრავალრიცხოვან კოლექტივსაც, რომლის ასეთი „გულმოდგინე“ დუმილი უეჭველად ნიშნია თანხმობისა... რაზედ?! — ალბათ იმაზე, რომ ქართულ ჭიდაობას ისედაც კარგად და ბრწყინვალედ აქვს საქმეები მთელს საქართველოში?!

პატივისცემით ლერი სიხარულიძე.

ლ. სიხარულიძის ამ წერილს ავტორისეული სტილით უცვლელად ვაქვეყნებთ. ვიმედოვნებთ, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია ბოლოსდაბოლოს თავის კომპეტენტურ აზრს მოგვაწვდის წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 19 მაისი. „ზოოვეტი“ (თბილისი) — „ელმავალი“ (თბილისი) 10:56 (0:32). საქართველოს ჩემპიონატში დისკვალიფიკაციებისა და საკავშირო პირველობაზე მიღებული ტრავმების გამო „ელმავლის“ მოთამაშეთა ერთმა ნაწილმა ამ მატჩში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო. ამან განაპირობა ის, რომ „ელმავალმა“ შეხვედრა 14 მოთამაშით ჩაატარა, თუმცა მორიგი გამარჯვების მოპოვებაში ამას რკინიგზელთათვის ხელი არ შეუშლია.

თამაშის დასაწყისში, ზოოვეტელთა გუნდი, ცოტა არ იყოს, აღელვებული და დაბნეული ჩანდა. მიზეზი ცხადია — მეტოქის ავტორიტეტი. ამის გამო იყო, რომ პირველ ნახევარში თამაში „ცალ კარში“ მიმდინარეობდა. „ელმავალი“ თავისუფლად, ლაღად თამაშობდა, მეტოქის შეცდომების გამოყენებით 6 ლელო გაიტანა (ჩავლეიშვილმა, ვაშაძემ, მანთიძემ — 2 და ღვინიაშვილმა — 2).

მეორე ტაიმში ზოოვეტელები თავიანთი ლიდერის ვ. ბახტაძის აქტიურობის წყალობით საგრძნობლად გაბალანსდნენ, გათამამდნენ, ბახტაძემ და ნარტყოშვილმა თითო ლელო გაიტანეს, რომელთაგანაც ერთი გარდასახა ბახტაძემ.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ძალთა თანაფარდობა აშკარად არათანაბარი იყო და რკინიგზელებმა — ჩიქვინიძემ (რომელმაც მისთვის უჩვეულო ადგილზე — ჰუქერად ითამაშა), ლაბაძემ, ღვინიაშვილმა და ნარიმანიძემ გატანილი ლელოებით კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიში ზოოვეტელთა ხეკვა. ოთხივე ლელო გარდასახა ჩავლეიშვილმა.

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. 20 მაისი. სხი „შევარდენი“ (თბილისი) — „აკადემია“ (თბილისი) 12:13 (12:6). ბედმა გუნდებს არც ამჯერად გაუღიმა — ისე, როგორც პირველ წრეში მათი შეხვედრის დროს, ამ დღესაც კოკისპირულად წვიმდა. წვიმა, ფაქტიურად, თამაშის დაწყებისთანავე დაიწყო და მეტოქეებს მატჩის პროცესში მოუხდათ არჩეულ ტაქტიკაში ცვლილებების შეტანა.

„შევარდენმა“ თავიდანვე ხელთ იგდო თამაშის სადავეები და რამდენჯერმე მწვავედ შეუტია, თუმცალა ანგარიში აკადემიელმა ნ. წიკლაურმა გახსნა საჯარიმოს გატანით. „შევარდენმა“ გააგრძელა იერიშები და მალე მათმა მცველმა ნ. იურინმა ისარგებლა მეტოქის დაცვის ხაზის შეცდომით და ლელო გაიტანა. ცოტა ხანში, „აკადემიის“ ლელოსთან დანიშნული აუტის მოგების შემღეგ, გაგნიძემ მეორე ლელო გაიტანა. ორივე ლელო გარდასახა ხუჭუამ. პირველ ტაიმში მხატვრებმა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხეს: ნ. წიკლაურმა საჯარიმო შეაგდო — 12:6.

მეორე ტაიმში აკადემიელები გამოცოცხლდნენ — ნ. წიკლაურმა კვლავ გაიტანა საჯარიმო. ამან მისი თანაგუნდელებიც შეაგულიანა. აკადემიელთა გამოცდილმა მოთამაშეებმა ინდივიდუალური თამაშით აიყოლიეს პარტნიორები და რამდენჯერმე შექმნეს სახიფათო მომენტი მეტოქეთა ლელოსთან, მაგრამ ამ შეტევებს ბოლო ფაზაში სიზუსტე აკლდა. ამასობაში „შევარ-

დენიც“ „გონს მოეგო“ და აკადემიელებს დაცვაზე ზრუნვა მოუხდათ, მაგრამ „შევარდენი“ უსისტემოდ უტევდა. ამას დაერთო მისი დამრტყმელის ხუჭუას ორი გაცუდებული საჯარიმოც, მატჩის მიწურულს კი აკადემიელთა მორკინალმა ვართანიანმა გამარჯვების ლელო გაიტანა.

წყალტუბო. მაღლაკის სტადიონი. 20 მაისი. „ხათაფლია“ (წყალტუბო) — „ასოციაცია“ (თბილისი) 0:36. მიუხედავად ძლიერი წვიმისა, სათამაშო მოედანი მორაგბეებს ჩინებულ მდგომარეობაში დახვდათ, რაც სტადიონის მუშაკთა გულმოდგინებაზე მეტყველებს. მასპინძელთა სამწუხაროდ, მათმა გუნდმა ვერაფერი გააწყო გამოცდილ მეტოქესთან და პირწმინდად დამარცხდა. ასოციაციელთაგან თავი გამოიჩინა შერკინების ნახევარმცველმა ნუგზარ გაბრიჩიძემ, რომელმაც 25 ქულა მოუტანა გუნდს: გაიტანა ლელო, შეაგდო ხუთი საჯარიმო და 3 გარდასახვა. თითო ლელო მოდის მ. გოგიჩაიშვილსა და ზ. ელიზბარაშვილზე, ხოლო მ. ჭეიშვილმა არეკნის გატანით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

• • •

ამ ტურის ორი შეხვედრა გაიმართება ხვალ და ზეგ. 23 მაისს სტუ უმასპინძლებს „მიმინოს“, 24-ში ვარკეთილში ითამაშებენ თსუ და „გელათი“.

სტუდენტური გუნდების სხვადასხვა რანგის შეხვედრები რაგბის სამყაროს უძველესი ტრადიციაა. საქართველოში ამ ტრადიციას ახლა ეყრება საფუძველი —კვირას, 27 მაისს, ვაკის სტადიონზე გაიმართება ვერეს გაღმა და გამოღმა უმაღლესი სასწავლებლების საერაგბო გუნდების მატჩი.

„გაღმელების“ გუნდში ითამაშებენ სტუ და „შევარდენი“, ხოლო „გამოღმელებში“ — თსუ, „აკადემია“ და „ზოოვეტი“ („ათელის წერტილი“ ვაკის სტადიონი გახლავთ).

ორივე გუნდის მწვრთნელებმა, ტრადიციისამებრ, უნდა დაასახელონ 18-18 მოთამაშე, 15 ძირითადი და 3 სათადარიგო.

სტუდენტური გუნდების წარმომადგენლებს ვთხოვთ, 24 მაისს შეიკრიბონ ვარკეთილის სტადიონზე. თსუ — „გელათის“ მატჩის შემდეგ დაზუსტდება თამაშის ჩატარების დეტალები და სავარაუდო შემადგენლობები.

მერაბ რატიშვილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 8:1 (5:1)

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 20 მაისი.

„იბერია“: ხაპოვი (დევიძე), კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, მაჭავარიანი, რევაზიშვილი (ნემსაძე), ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა, ფურული, გოგიჩაიშვილი (ჯამარაული).

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, ათუაშვილი, ფელაძე, ზერიშვილი, ბარამიძე (ჩხაიძე), ამაშუკელი, კაშია, თეთრაძე, ნასუაშვილი (კალანდაძე), ჩიგოგიძე.

მსაჯები: მ. მაღლაფერიძე, გ. ჭიკაუტაძე, პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს, თბილისის სტადიონზე ერთ შეხვედრაში ორ ფეხბურთელს ჰეთ-ტრიკი რომ შეესრულებინოს. 20 მაისს თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელებმა გურულმა და კაჭარავამ ეროვნული ჩემპიონატის XI ტურში 3-3 ბურთი გაიტანეს ოზურგეთის „მერცხლის“ კარში.

ამ მატჩის წინ ორივე გუნდი სხვადასხვა ამოცანის წინაშე იდგა. თბილისელები ბოლო ტურებში ცდას არ აკლებენ, რათა მიუახლოვდნენ ლიდერთა პოზიციებს, „მერცხლის“ საქმე კი უფრო მოკრძალებულია. ოზურგეთელთა ახალგაზრდა კოლექტივი ყოველ მატჩში თავისი თამაშის ძიებაშია და მთელ რიგ შეხვედრებში საინტერესო ფეხბურთს აჩვენებს. ამიტომაც მაყურებელი „მერცხალის“ თამაშიდან უფრო მეტს მოელოდა, მაგრამ პირველივე წუთებიდან სტუმრებმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს, ამის მიზეზი კი ალბათ, ისიც იყო, რომ ოზურგეთელებს ამ შეხვედრაში ოთხი ძირითადი მოთამაშე აკლდათ.

პირველი ბურთი მე-2 წუთზე გავიდა: კაჭარავას გადაცემით საჯარიმო მოედანში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გურულმა ახლო მანძილიდან აიღო მეტოქის კარი —1:0. მეორე გოლიც მცველთა შეცდომით გავიდა, მათ კაჭარავას მისცეს ბურთის გაჩერების და დამუშავების საშუალება და ზუსტმა დარტმამაც არ დაახანა — 2:0. მესამე ბურთი გაიტანა ზ. რევაზიშვილმა, ამის შემდეგ სტუმრები ოდნავ გააქტიურდნენ და კაშიამ ძლიერი დარტყმით ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 1:3. მცირე ხანში გურულმა კარგად შეარჩია ადგილი მეტოქის საჯარიმოში და თავური დარტყმით უფრო დააწინაურა თავისიანები. ტაიმის მიწურულს კი კაჭარავამ გამოიჩინა თავი — 5:1.

ანალოგიური სცენარით წარიმართა მეორე ტაიმიც. 70-ე წუთზე გურულს უხეშად ეთამაშნენ მეტოქის საჯარიმოში, 11-მეტრიანი თვით გურულმა დაარტყა — 6:1, შემდეგ ლამაზი ბურთი გაიტანა თ. ქეცბაიამ, შეხვედრის ანგარიშს კი წერტილი კაჭარავამ დაუსვა, რომელიც პირისპირ გავიდა მეკარესთან — 8:1.

ზაზა კახაძე.

„ბორდა“ (რუსთავი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 8:1 (4:0)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 20 მაისი.

„ბორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა (ლობჟანიძე), ავაქიანი, კუჭინოვი (დიმიტრიშვილი), ქასრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია (წიკლაური), ბერეჟნოი.

„შევარდენი-1906“: დოლიძე (გვაზავა), ჩხეიძე, სამხარაძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე (ზეიკიძე), ტარტარაშვილი, უულიაშვილი, კაკილაშვილი, ყიფიანი, ჭობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), გ. შავგულიძე, ა. დათიაშვილი (ორივე — რუსთავი).

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და თამაშის მე-16 წუთზე კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ფანცულაიამ პირველი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. გატანილი ბურთის შემდეგ „გორდას“ ფეხბურთელებმა უფრო უმატეს ტემპს და 28-ე, 33-ე და 45-ე წუთებზე კილასონიამ ზედიზედ სამჯერ აიღო მეკარე დოლიძის კარი.

„იბერია“ — „მერცხალი“. შეტევა ოზურგეთელთა კართან. ეს ეპიზოდი თერთმეტმეტრიანით დასრულდა. ა. კოტორაშვილის ფოტო.

მეორე ტაიმიც რუსთაველი ფეხბურთელების სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. 47-ე წუთზე მეტრეველმა შორიდან ძლიერი დარტყმით ხუთამდე გაზარდა ანგარიში. თბილისელებმა კი მხოლოდ შეხვედრის 65-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა, როცა უიფიანმა ლამაზი კომბინაცია გოლით დაასრულა— 5:1, გაშვებული ბურთის შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და 76-ე წუთზე ისევ გ. კილასონიამ ექვსამდე გაზარდა ანგარიში. ორი წუთის შემდეგ მიქაშავიძემ მეშვიდე ბურთი გაიტანა, 69-ე წუთზე კი ტ. კაპანაძემ მერვედ აიღო სტუმართა კარი — 8:1. ასე გაიმარჯვა „გორდამ“ და უფრო გაბიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

აკაკი ყანდიაშვილი.
„ლელოს“ კორ.

„დილა“ (გორი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:1 (0:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 20 მაისი.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი (მელქაძე), გაგნიძე, ქობესოვი, წიკლაური, კოშკაძე (ანიაშვილი), ჩადუნელი, გაზაშვილი, მარღიშვილი (ტაბატაძე), რიფარიძე, ხორგუაშვილი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაჭაცარია (ხვიტია), თუთბერიძე, ჯავაშვილი, ხართანია, მალანია, შეროზია, ბიგვავა, ტიბუა, აფაქიძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროხიანი (სამივე — სოხუმი).

გოლები: ჯავაშვილი, გაზაშვილი (პენალტი), ხორგუაშვილი.

შეხვედრის პირველი თხუთმეტი წუთი ზუგდიდელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა. „ოდიშმა“ მასპინძლები მთელი ძალებით მიაჯაჭვა თავის ნახევარს, თუმცა სტუმრებმა მალე დათმეს პოზიციები. მე-17 წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა ხორგუაშვილმა ვერ გამოიყენა კარის აღების რეალური შესაძლებლობა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე თამაშის სადავეები ხელთ გორელებმა იგდეს. ზუგდიდელები სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ასეთი მომენტი 58-ე წუთზე კარგად გამოიყენეს სტუმრებმა. ჯავაშვილმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

მიღებული ბურთის შემდეგ „დილა“ გააქტიურდა, ერთ-ერთი შეტევისას დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რომელიც კარგად გამოიყენა გაზაშვილმა.

მატჩის ბედს წერტილი ხორგუაშვილმა დაუსვა, რომელმაც 65-ე წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი.

ილია თევდორაშვილი.
„ლელოს“ ხაკ. კორ.

* * *

20 მაისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის კიდევ ორი მატჩი: „გურია“ (ლანჩხუთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:0, „მზიური“ (გალი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:1. ეს მატჩი გაპროტესტებულია.

გუშინ შედგა XI ტურის ორი მატჩი:

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0;

„ლიახვი“ (ცხინვალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:6.

ბათუმის „ბათუმისა“ და სამტრედიის „სანავარდოს“, ასევე ფოთის „კოლხეთი-1913“ და ხობის „კოლხეთის“ გუნდების XI ტურის მატჩების ჩატარების თარიღს გამოვაცხადებთ.

„გორდა“ — „შევარდენი-1906“. მომენტი განვლილი მატჩიდან. ა. ყანდიაშვილის ფოტო.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:2, „სიონი“ (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სქურა“ (წალენჯიხა) 1:3, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სულორი“ (ვანი) 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 0:0, „სვანეთი“ (მერეჯოლა) — „ორაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მაღაროელი“ (ზიაურა) 1:0, „იმერეთი“ (ხონი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:0.

გაგრის „დინამოს“ სახელი შეეცვალა. იგი ამიერიდან „სიხარული-90“-ის სახელით განაგრძობს რესპუბლიკის ჩემპიონატს.

I ლიგა

19 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების X ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (სოხუმი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, ბონდარუკი, ჩეკუნოვი, ხაბიტოვი, დობაშინი, ენიკი, გუბაზი (არუთინიანი), ახვლედიანი, სმირნოვი (ტუნკინი), ჩალიგავა, ხაგბა.

„ტავრია“: ბელოშაპკა, ტურჩინენკო, გაიდაში, სმიგუნოვი, გუიგანოვი, ფოკინი, ვოლკოვი, მაქსიმოვი, ისაევი (ზეიტულაევი), პოგორელოვი, შეიხამეტოვი (შემეტევი).

მსაჯები: ი. გურმანი (დუშანბე), ა. კულაკოვი (ალმა-ათა), ვ. ბრაგინი (ლენინაბადი).

გააფრთხილეს ვ. პოგორელოვი, ა. გაიდაში („ტავრია“), ა. ჩეკუნოვი („დინამო“).

ისევე, როგორც წინა მატჩში, სოხუმელთა რიგებში ამჯერადაც მოსკოვის „დინამოდან“ მოწვეული ხუთი ფეხბურთელი გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, „ტავრიის“ დამარცხება არ მოხერდა და დინამოელებმა ზედიზედ მეორედ ფრედ დასრულეს თამაში საკუთარ მინდორზე. ამ მატჩში ანგარიში არ გახსნილა, კარგად ითამაშეს მეკარეებმა ოვჩინიკოვმა და ბელოშაპკამ, ორივე გუნდის თავდამსხმელებმა კი ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

მეორე ნახევარში თამაში დაიძაბა, მსაჯს რამდენიმე ფეხბურთელის გაფრთხილება დასჭირდა.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს“ კორ.

* * *

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 1:3, „ნისტრუ“ - (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოტაიკი“ (ალმა-ათა) 1:0, „ლოკომოტივი“ (გორკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:1.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ნუ დავდგამთ სპექტაკლს!

როგორც ცნობილია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის აღსანიშნავად განზარხულია საქართველოსა და ლიტვის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრის ჩატარება.

მსოფლიოს საფეხბურთო პრაქტიკაში ხშირია ამგვარი სადღესასწაულო, საიუბილეო, აქტიურ სპორტთან დამშვიდობების თუ სხვა სახის მატჩები. ისინი ყოველთვის დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ მაყურებელს და, რაც მთავარია, მუდამ უკომპრომისო ბრძოლით გამოირჩევიან.

ასეთი მატჩების გამართვის ტრადიცია უცხო არ არის საბჭოთა კავშირისთვისაც. მაგრამ, ისევე, როგორც კულტურისა და პოლიტიკის ნებისმიერ სხვა სფეროში, ყირილობებით დაწყებული და მოსწავლეთა აღლუმებით დამთავრებული, აქაც დღესასწაულის გარეგნულ, საზეიმოებით მხარეს ექცევა ყურადღება, ხოლო შინაარსი (ამ შემთხვევაში — სპორტული მხარე) — გაყალბებულია. საზეიმო ელფერის ვითომცდა გასამდიდრებლად იდგმება სპექტაკლები და, როგორც წესი, შეხვედრები ფრედ მთავრდება ხოლმე.

რაკიღა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უარი გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უარს იტყვის სხვა საბჭოურ ინსტიტუტებზეც და მათთან ერთად ყველა იმ მანკიერ ღონისძიებებზეც, რომელთა შორისაც არის სწორედ ზიზილ-პიპილებით დადგმული პარადებიცა და სპექტაკლებიც.

სანახაობრივი მხარე ამ დღეს ისედაც იკმარებს სტადიონზე: ტრიბუნები დამშვენებული იქნება ყვავილებითა და თავისუფლებისაკენ მავალი ლიტვისა და საქართველოს ეროვნული დროშებით და, მოდით, თვით სპორტულ ასპარეზობას ნუ ჩავრთავთ მიზანსცენად ამ ბუნებრივად დადგმულ გრანდიოზულ სახალხო სპექტაკლში.

ბოლო წლებში მიღწეული მაჩვენებლების მიხედვით ყველამ ვიცით, რომ დღეისათვის ლიტველთა გუნდი ძლიერია და ჩვენს ფეხბურთელებს წაგებას ცოდვად არავინ ჩაუთვლის. არ გამართლდეს ჩვენი გულშემატკივრის „საბჭოური“ პერიოდიდან გამოყოლილი შიში, რომ მატჩის შედეგი შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული. ნუ დავუკვებავთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თავისი ისტორიის დაწყებას გარიგებული მატჩით. იყოს პრინციპული ორთაბრძოლა. დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა!

ქართველ გულშემატკივართა სახელით
ე. ტალიაშვილი,
ზ. ასკანელი,
დ. ერისთავი.



თბილისის ცენტრალური სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

27 მაისი ● ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა

საქართველოს ეროვნული ნაკრები — ლიტვის ეროვნული ნაკრები

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ფეხბურთის და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 22-დან 27 მაისის ჩათვლით, 10 საათიდან 19 საათამდე. ორგანიზაციებში — 25 მაისს. შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე.

აღნიშნულ თამაშზე აბონემენტები ძალაში არ არის.

გზაჯვარედინთან...

(დასასრული)

თუნა ჭუმბურიძემ (მწვრთნელი თამარ დარასელია), რომელმაც ფინალში მოუგო თანაგუნდელ თამრიკო ფარულავას — 2:1. ხათუნა ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და ამ ასაკში საქართველოს უძლიერესი მოფარიკავის სახელის მოპოვება მისთვის საამაყო წარმატება უნდა იყოს. იგი ხომ შეჯიბრების ყველაზე უმცროსი ჩემპიონია.



დიმიტრი გოგლიჩიძე

დაშით ფარიკაობაში ვაჟთა შორის ბევრი გამოცდილი სპორტსმენი მონაწილეობდა, გამარჯვება კი ჭაბუკ დიმიტრი გოგლიჩიძეს დარჩა, რომელიც 1973 წელს (!) არის დაბადებული. საერთოდ, ამ სახეობაში გამოცდილება შეტად ფასობს, ამიტომ სათანადოდ შესაფასებელია თბილისელი ახალგაზრდის გამარჯვებაც (მას იგორ ვახროვი ავარჯიშებს). აღსანიშნავია სხვა პრიზიორების, თბილისელი გორჩა ზურაბიშვილისა და ქუთაისელი კობა ბალანჩივაძის გამოსვლაც.

რაპირით ფარიკაობაში არ გამოდიოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ აფციაური (იგი საერთაშორისო ტურნირზე იყო წასული) და გამარჯვება 20 წლის, მაგრამ უკვე გამოცდილ ოლეგ ჩერნიშოვს დარჩა. იგი თბილისელია, ოღონდ სწავლობს გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში. ჩერნიშოვმა (მწვრთნელი ლიუდვიგ ღაღანიძე) ფინალში აჯობა გიორგი კვარაცხელიას — 2:0.

ახლა კი გვინდა ორიოდე სიტყვა მაინც ვთქვათ იმ პრობლემაზე, რომელიც ამჟამად ალბათ ყველა ჩვენს გულშემატკივარს აღელვებს. არც ისე სწრაფად, მაგრამ მაინც შეუნელებლად ხუსტდება ჩვენი კავშირი საკავშირო სპორტულ ორგანიზაციებთან. ეს შეუქცევადი პროცესია, ამიტომ დღის წესრიგში დგას მწვავე საკითხი: საკუთრივ როგორ მოვიმაგროთ წელი, დამოუკიდებლად როგორ დავამყაროთ კავშირი უცხოელ კოლეგებთან. მოფარიკავეებს, ჯერჯერობით მაინც, ამის მცირე შესაძლებლობა აქვთ. აქ, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური საშუალება იგულისხმება, თორემ სპეციალისტებს მტკიცებით, ჩვენთან თანამშრომლობის მხურველს ბევრს გამონახავენ. მაგალითიც დამახახელეს: სულ ახლახანს საქართველოს მოფარიკავეები ცალკე გუნდად მიიპატიჟეს უნგრეთში, უმაღლესი, „ა“ კატეგორიის ტურნირზე. მაგრამ ჩვენები იქ ვერ ჩავიდნენ, რადგან მის წევრებს აუცილებლად ფირმა „მარაგენის“ მიერ გამოშვებული სპორტული ფორმა უნდა ჩაეცვათ. (თითოეული



მერაბ ბაზაძე

მოფარიკავის შემოხვა და იარაღით მომარაგება 500 დოლარამდე ღირს). საკავშირო სპორტსახკომი კარგა ხანია ალარაფერს იძლევა და საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობაც, ჩაის გადამწონი ფაბრიკის გარდა, სხვა სპონსორებსაც ეძებს, რომლებსაც ვალუტა ექნებათ. სხვა მხრივ კი, ჩვენს გუნდს კარგი ურთიერთობა აქვს გფრ-ისა და პოლონეთის სპორტსმენებთან, ახლახანს პროფკავშირთა ნაკრები ჰოლანდიაში მიიპატიჟეს...

გარდა ამისა, გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დამოუკიდებელ, ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს, რაც, ამასთანავე, ხელს შეუწყობს მისთვის გამოყოფილი სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენებას. მოკლედ, ამოცანები შეტად ბევრია და ერთმანეთზე რთული.

ბ ი ო რ ბ ი პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი.

21 ივ — ყვარცხლბეკი

ხმალი. 1. მერაბ ბაზაძე (წყალტუბო); 2. ბექა ქოქენტი (ზესტაფონი); 3. აკაკი მახარაძე (თბილისი). **გუნდური.** 1. თბილისი-I; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

დაშნა. ჭალები. 1. რუსუდან გოგიავა; 2. ნანა საფარიძე (ორივე— აჭარა); 3. ნატია მემძარიაშვილი (თბილისი). **გუნდური.** 1. აჭარა; 2. თბილისი-II; 3. თბილისი-I.

დაშნა. ვაჟები. 1. დმიტრი გოგლიჩიძე; 2. გორჩა ზურაბიშვილი (ორივე — თბილისი); 3. კობა ბალანჩივაძე (ქუთაისი). **გუნდური.** 1. თბილისი-I; 2. თბილისი-II; 3. ქუთაისი-I.

რაპირა. ჭალები. 1. ხათუნა ჭუმბურიძე; 2. თამარ ფარულავა; 3. ქეთინო გიგაური (სამივე — თბილისი). **გუნდური.** 1. თბილისი-I, 2. თბილისი-II, 3. ქუთაისი-I.

რაპირა. ვაჟები. 1. ოლეგ ჩერნიშოვი (გორი); 2. გიორგი კვარაცხელია, 3. მამუკა ოძელაშვილი (ორივე — თბილისი). **გუნდური.** 1. თბილისი-I; 2. აფხაზეთი; 3. აჭარა-I.

ხაერთო გუნდური პირველობა: 1. თბილისი-I—676 ქულა; 2. თბილისი-II — 447; 3. აჭარა—412.

რაც შეეხება X სპარტაკიადას, აქ პირად პირველობაში პრიზიორები იგივენი იყვნენ, ამიტომ მხოლოდ გუნდური პირველობის შედეგებს გაცნობებთ.

ხმალი. 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

დაშნა. ვაჟები. 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

დაშნა. ჭალები. 1. აჭარა; 2. თბილისი; 3 ქუთაისი.

რაპირა. ვაჟები. 1. თბილისი; 2. აფხაზეთი; 3. აჭარა.

რაპირა. ჭალები. 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

ხაერთო გუნდური. 1. თბილისი — 739 ქულა, 2. აჭარა — 483, 3. ქუთაისი — 438.

როგორც ხედავთ, აჭარის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, რაც თავისებურ სიურპრიზად უნდა ჩაითვალოს.

მხოლოდ მასპინძლები

ვახტანგ ლეჟავას მემორიალი

ვიუხედავად იმისა, რომ თბილისის ტრადიციულ საჩოგბურთო შემორიალში საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას პრიზზე ქართველ ჩოგბურთელთა გარდა მოსკოვის, ლენინგრადისა და ერევნის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, ოთხივე ფინალში მხოლოდ მასპინძლებმა იასპარეზეს.

შეჯიბრებამ (მთავარი მსაჯი ნიკოლოზ ელერდაშვილი), რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტის კორტებზე ტარდებოდა, ბევრი საინტერესო ორთაბრძოლით გაგვახარა, განსაკუთრებით ეს გადამწყვეტ შეხვედრებს ეხება, რომლებშიც, როგორც აღვნიშნეთ, როგორც წესი, მასპინძლები ასპარეზობდნენ.

ქალთა შორის ფინალში ერთმანეთის პირისპირ დაფგნენ თეა მუჩაიძე და 15 წლის ანა აბაშიძე. გამოცდილმა ჩოგბურთელმა დამაჯერებლად დაამარცხა ახალგაზრდა მეტოქე — 6:2, 6:3. თ. მუჩაიძემ რუსუდან მძინარიშვილთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა თანრიგშიც — გადამწყვეტ შეხვედრაში მათ სძლიეს მ. აბაშიძე — ნინო ნუბაროვას წყვილს.

ვაჟებში უძლიერესი ალექსანდრე სიმონიანი იყო (ფინალში მოუგო ირაკლი სვანიძეს — 6:4, 6:1). მანვე დავით კვარაცხელიასთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა თანრიგის ფინალშიც ანატოლი ახალაძე — ი. სვანიძესთან შეხვედრაში.

თ ა მ უ ნ ა ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი.

სოხუმის რინგზე — თურქი მოკრივეები

ცნობილი საბჭოთა მწვრთნელი ა. ლავროვი უკანასკნელ ხანს თურქ მოკრივეებს ავარჯიშებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები სოხუმში ჩამოვიდა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში მონაწილეობისათვის. ეს შეჯიბრება, რომელიც ტრადიციულად საბჭოთა კავშირის გმირის, ლეგენდარული ქართველი მეომრის, სოხუმელი მელიტონ ქანთარიას სახელს ატარებს, უკვე მესამედ იმართება (მთავარი მსაჯი — სარატოველი ვ. კლიმაჩოვი). ამჯერად მასში 1972-1973 წლებში დაბადებული 200-მდე მოკრივე ასპარეზობდა.

განკლილ შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ მასპინძლები — ქართველი მოკრივეები. ოთხმა მათგანმა პირველი ადგილი მოიპოვა: ფოთელმა კ. გოგოლაძემ (51 კგ წონითი კატეგორია), ქუთაისელმა ჯ. კაკაბიძემ (54 კგ), თბილისელმა ა. კაკაურიძემ (75 კგ) და სოხუმელმა ბ. არშბამ (71 კგ).

მეორე ადგილზე გავიდა სოხუმელი ი. ტროკსა (57 კგ), მესამეზე — მესტიელი გ. ხერგიანი (46 კგ) და თბილისელი ჯ. ბარაია (54 კგ).

დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ: კიროვაკანელი ა. ფარვარიანი (46 კგ), ყარაგანდელი ა. აბუბაკიროვი (48 კგ), უფელი ტ. გალეევი (57 კგ), თურქი მოკრივე ო. კენანი (60 კგ). სარატოველი ს. კასიანოვი (63,5 კგ), ერევნელი ს. სარგსიანი (67 კგ), პერმელი ა. ილინი (81 კგ), ერევნელი ა. ავარტასიანი (91 კგ), ჩირჩიკელი ი. ეურავლიოვი (+91 კგ).

თ ე ნ გ ი ზ ი ბ ა ბ ა კ ო რ ი ა,
„ლელოს“ კორ.

სოხუმი.

„სპორტლოტო“

გ ა ი მ ა რ თ ა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-20 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 19 (სათხილამურო რბოლები), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 37 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

* * *

გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-19 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.431.210 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (36) მოგება 1.331 მანეთია, ოთხისთვის (1.519) — 42, სამისთვის (25.739) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 35.565 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—17, 3—547.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.211.618 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.213) — 175, სამისთვის (162.578) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 487.893 ვარიანტი. 5—0, 4—138, 3—5.060

მე-19 და 10-19 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 2 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-19 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.983.132 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (68) — 874, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.270) — 171.

საქართველოში: დაშვებულია 111.873 ვარიანტი. 13—0, 12—3, 11 — 35.

მე-19 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 2 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
თ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე.

ვინ, სად, როდის?

რა პრინციპით დაწყვილდებიან ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ჯგუფური ტურნირების შემდეგ, მერვედფინალებსა და შემდეგ ეტაპებზე? აი, შეკითხვა, რომელიც აინტერესებს ფეხბურთის მოყვარულებს. მათი თხოვნით „ლელო“ კვლავ უბრუნდება ამ საკითხს. აქვე შეგახსენებთ მონაწილე გუნდების ვინაობას ქვეჯგუფების მიხედვით და იმ ქალაქებს, სადაც ისინი ითამაშებენ:

„ა“ ჯგუფი — იტალია, ავსტრია, აშშ, ჩსფრ (რომი, ფლორენცია);

„ბ“ ჯგუფი — არგენტინა, კამერუნი, სსრკ, რუმინეთი (მილანი, ბარი, ნეაპოლი);

„გ“ ჯგუფი — ბრაზილია, შვეიცია, შოტლანდია, კოსტა-რიკა (ტურინი, გენუა);

„დ“ ჯგუფი — გფრ, იუგოსლავია, არ. კს, კოლუმბია (ბოლონია, მილანი);

„ე“ ჯგუფი — ბელგია, ს. კორეა, ურუგვაი, ესპანეთი (ვერონა, უდინე);

„ვ“ ჯგუფი — ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, ეგვიპტე (კალიარი, პალერმო).

ჩემპიონატის მერვედფინალში გადიან ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებული და მეორე ადგილებზე გასული გუნდები (სულ — 12), გარდა ამისა, მათ დაემატება ოთხი იმ ექვსი გუნდიდან, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ ქვეჯგუფებში. ამ გუნდების გარკვევისას უპირატესობა ენიჭება იმათ, ვისაც მეტი ქულა აქვს მოგროვილი. ქულათა თანაბარი რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს ის გუნდი, ვისაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, შემდეგ ის, ვისაც მეტი ბურთი აქვს გატანილი და ბოლოს ყველაფერს წყვეტს წილისყრა.

მაშ ასე, მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

23 ივნისი

1. **თამაში გაიმართება ქალაქ ნეაპოლში.** „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული გუნდი (პირობითად, დავუშვათ, რომ ეს იქნება მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები) შეხვდება ერთ-ერთ გუნდს, რომელიც მესამე ადგილს დაიკავებს „ა“, „გ“ ან „დ“ ჯგუფებში (პირობითად, დავუშვათ, რომ ამ ჯგუფებში მე-3 ადგილებს დაიკავებენ ჩეხოსლოვაკიის, შოტლანდიის და კოლუმბიის გუნდები. თუ „ა“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასული ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ვერ მოაგროვებს მერვედფინალში გასვლისთვის საჭირო რაოდენობის ქულებს, მაშინ მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე იქნება „გ“ ჯგუფის მესამე გუნდი, ე. ი. შოტლანდიის ნაკრები და ა. შ.).

2. **ბარი.** „ა“ ჯგუფის მეორე გუნდი — „გ“ ჯგუფის მეორე გუნდი.

24 ივნისი.

3. **ტურინი.** „გ“ ჯგუფის პირველი გუნდი — ერთ-ერთი გუნდი, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ „ა“, „ბ“ ან „ვ“ ჯგუფებში.

4. **მილანი.** „დ“ ჯგუფის პირველი გუნდი — ერთ-ერთი გუნდი, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ „ბ“, „ე“ ან „ვ“ ჯგუფებში.

25 ივნისი

5. **გენუა.** „ვ“ ჯგუფის მეორე გუნდი — „ბ“ ჯგუფის მეორე გუნდი.

6. **რომი.** „ა“ ჯგუფის პირველი გუნდი — ერთ-ერთი გუნდი, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ „გ“, „დ“ ან „ე“ ჯგუფებში.

26 ივნისი.

7. **ვერონა.** „ე“ ჯგუფის პირველი გუნდი — „დ“ ჯგუფის მეორე გუნდი.

8. **ბოლონია.** „ვ“ ჯგუფის პირველი გუნდი — „ე“ ჯგუფის მეორე გუნდი.

მეოთხეფინალში ითამაშებენ:

30 ივნისი

1. **ფლორენცია.** ტურინსა (3) და ვერონაში (7) გამარჯვებულები.

2. **რომი.** გენუასა (5) და რომში (6) გამარჯვებულები.

1 ივლისი

3. **მილანი.** ბარიში (2) და მილანში (4) გამარჯვებულები.

4. **ნეაპოლი.** ნეაპოლსა (1) და ბოლონიაში (8) გამარჯვებულები.

ნახევარფინალში ითამაშებენ:

3 ივლისი

1. **ნეაპოლი.** ფლორენციასა და რომში გამარჯვებულები.

2. **ტურინი.** მილანსა და ნეაპოლში გამარჯვებულები.

მატჩი III ადგილისათვის გაიმართება 7 ივლისს ბარიში.

ფინალური მატჩი შედგება 8 ივლისს რომში „ოლიმპიკოს“ სტადიონზე.

ჩ ვ ე ნ ი ვ ი ს ა ბ ა ს ა რ თ ი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-28, „ბარიგა“ — 93-97-27.

ჩ ვ ე ნ ი ინდექსი 86435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრდის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით ხაგაზეთი კორპუსში: ხიშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779